ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმი N 5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 6 ივნისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების შერჩევის წესის შესახებ
2. დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ
3. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების შერჩევის წესის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების შერჩევასთან დაკავშირებული რეგულაციები განსაზღვრულია თსუ-ს მიერ. აღნიშნული წესი ძირითადად შეეხება უცხოეთის მოქალაქეებს, რომლებიც ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ირიცხებიან თსუ პროგრამებზე და ძირითადად მხოლოდ ენის გამოცდას აბარებენ. ჩვენს საბჭოს შეუძლია კორექტივები შეიტანოს ამ წესში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. თავდაპირველ ვარიანტში მან შეიტანა შესწორებები. აზრი გამოთქვეს ასევე პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა, ო.მუკბანიანმა, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილ მა და თ.ლეჟავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების შერჩევის წესს შეტანილი კორექტივებით (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების შერჩევის წარმოდგენილი წესი (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო გეოგრაფიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ დ.კერესელიძის, გეოლოგიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ბ.თუთბერიძის და ქიმიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ შ.სამსონიას განცხადებები დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. განცხადებებს თან ახლავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების სხდომების ოქმები (იხ. დანართები 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომები სახელწოდებები და სამეცნიერო ხელმძღვანელები სადოქტორო პროგრამების მიხედვით:

<u>სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფია“</u>

1) დოქტორანტი **მარიკა ავქოფაშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ლ.მაჭავარიანი და ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი ალ.ღონღაძე (თსუ ფიზიკის ინსტიტუტი), ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - ,,მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგების რემედიაცია“;

<u>სადოქტორო პროგრამა „გეოლოგია“</u>

1) დოქტორანტი **მირიან მიქაძე**: სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ბეჟან თუთბერიძე; სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „ვულკანური ეკოსისტემების ზეგავლენა ბიოტურ და აბიოტურ ეკოსისტემების კომპონენტებზე სამხრეთ საქართველოს ვულკანური არეალის მაგალითზე“;

<u>სადოქტორო პროგრამა „ქიმია“</u>

1) დოქტორანტი **ქეთევან ხარაიშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ბ. ჭანკვეტაძე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - "ახალი პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სტაციონალური ფაზების მომზადება ზედაპირულად ფოროვანი სილიკაგელის საფუძველზე და მათი ქრომატოგრაფიული შესწავლა";
2) დოქტორანტი **თეონა გოგატიშვილი:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ბ. ჭანკვეტაძე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „ენანტიომერული ნარევების დაყოფის თერმოდინამიკური და სტრუქტურული კვლევა სითხურ ქრომატოგრაფიაში პოლისაქარიდული ქირალური სტაციონარული ფაზების გამოყენებით“;
3) დოქტორანტი **ავთანდილ ტურძილაძე:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ბ.ჭანკვეტაძე და Astrid Kiendler Scharr (გერმანელი პროფესორი), ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „ორგანული ნიტრატები მეორად ორგანულ აეროზოლებში“;
4) დოქტორანტი **ირმა თიკანაძე:** სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება - „შერეული მიკროემულსიების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა“.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნ.კოტრიკაძის განცხადება, სადაც იგი ითხოვს ინსტიტუტის თანამშრომელთა სიის (ანაზღაურების გარეშე) დამტკიცებას. განცხადებას თან ერთვის თანამშრომელთა სია მოვალეობების მითითებით (იხ. დანართები 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წინადადებას უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა სიის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა (ანაზღაურების გარეშე) სია.

4. მიმდინარე საკითხები. ა) კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს დებულებაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწკირველმა (იხ. დანართი 4). მან აღნიშნა, რომ საჭიროა შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს #144/2016 დადგენილების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცების შესახებ" დანართ #4-ში - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს დებულება". კერძოდ, მუხლი 7, პუნქტი 7.2 უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება "არადამაკმაყოფილებელი" ან "სრულიად არადამაკმაყოფილებელი". დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტინგის დოქტორის აკადემიური ხარისხი".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის წინადადება თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე აღნიშნული ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიურ საბჭოს წინაშე, რომ შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს #144/2016 დადგენილების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოების დებულებების დამტკიცების შესახებ" დანართ #4-ში „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს დებულება". კერძოდ, მუხლი 7, პუნქტი 7.2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება "არადამაკმაყოფილებელი" ან "სრულიად არადამაკმაყოფილებელი". დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტინგის დოქტორის აკადემიური ხარისხი".

ბ) კომპიუტერული საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ გამოვიდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე. მან საბჭოს

წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომთა თემები შემდეგი პროგრამებიდან: საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამა „გეოლოგია“ (დაწვრილებით იხ. დანართი 5).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დასამტკიცებლად წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთა თემებს (იხ. დანართი 5).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომთა თემები (იხ. დანართი 5).

გ) საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან აღნიშნა, რომ დებულების მიხედვით კონფერენცია უნდა ჩატარდეს სასესიო პერიოდის ბოლო კვირაში - 10-15 ივლისს. რეგისტრაციის დაწყება შემდეგი კვირის ორშაბათიდან იქნება შესაძლებელი. შემდეგ ქ-მა თამარმა დამსწრეთ გააცნო საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა სია, რათა სურვილის შემთხვევაში საბჭოს წევრებმა შეიტანონ ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, რ.ხომერიკმა, დ.ძიძიგურმა, თ.ლეჟავამ. ამ უკანასკნელმა შეკითხვა დასვა კონფერენციის დებულებასთან დაკავშირებით. ქ-მა თამარმა განუმარტა, რომ თუ მაგისტრანტს ან ბაკალავრს თემის დაცვა უწევს, დაცვა აუცილებლად კონფერენციაზე უნდა მოხდეს. რაც შეეხება, დოქტორანტებს, მათთვის კონფერენციაში მონაწილეობა ნებაყოფილობითია (ეს ცვლილება ახლა შეგვაქვს). პროფესორი მ.ხაჩიძე კონფერენციის ჩატარების წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან ზედმეტად მიიჩნევს და თან დატვირთულ პერიოდს ემთხვევა. მან მოითხოვა, რომ დროის უფრო დიდი პერიოდი დაწესდეს კონფერენციის გამოცხადებიდან ჩატარებამდე. პროფესორმა დ.ძიძიგურმა აღნიშნა, რომ კონფერენციას ფორმალური სახე აქვს და მასალებიც არ ქვეყნდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 1. კონფერენციის ჩატარების საკითხი და 2. საკითხი კონფერენციაში დოქტორანტების მონაწილეობის ნებაყოფილობითობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: 1) მომხრე - 23, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 0.
2) მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

1) საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენცია ჩატარდეს დებულებით გათვალისწინებულ პერიოდში;
2) კონფერენციის დებულებაში შევიდეს ცვლილება, რომელიც ეხება დოქტორანტების მონაწილეობას კონფერენციაში - მათი მონაწილეობა გახდეს ნებაყოფილობითი.

დ) პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ სურთ დააფუძნონ ინტერდისციპლინური ჟურნალი „გარემო და საზოგადოება“ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და ჩვენი ფაკულტეტების ბაზაზე.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა მ.ხაჩიძემ. მან აღნიშნა, რომ ასოცირებული პროფესორი მ.ცინცაძე სტუდენტებთან ერთად ჯგუფური პროექტის ფარგლებში მუშაობს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალისთვის ონლაინ-პორტალის შექმნაზე, რომელიც შეიძლება ზემოთაღნიშნული ჟურნალისთვისაც გამოვიყენოთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ინტერდისციპლინური ჟურნალის „გარემო და საზოგადოება“ დაფუძნებისთვის მხარდაჭერის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს ინტერდისციპლინური ჟურნალის „გარემო და საზოგადოება“ დაფუძნების საკითხს.

ე) საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თსუ-ში იგეგმება ახალი ფაკულტეტის შექმნა „School of Graduate Studies“. ახალი ფაკულტეტის შექმნის მიზანია თსუ-ში სადოქტორო პროგრამებზე სწავლება ერთი ფაკულტეტის ქუდქვეშ მოხდეს.

დაადგინეს: აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი